09/02/2021

სარეაბილიტაციო სამუშაოები გელათში

გელათში ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის დროებით გადახურვაზე ყველა პრობლემა აღმოფხვრილია – ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა, ნიკოლოზ ანთიძემ განუცხადა.

ანთიძის თქმით, ახლა სააგენტოს ამოცანა გადახურვაზე არსებული ხარვეზების გამოკვლევა და ღონისძიებების დაგეგმვაა. მისივე ინფორმაციით, სახურავზე არსებული პრობლემების კვლევაში საერთაშორისო ექსპერტები ჩაერთვებიან. საქართველოში იუნესკო-ს სპეციალისტებს ადრეულ გაზაფხულზე ელოდებიან.

1tv.ge